

NanoMatrix®

მინერალური ზეთის ბაზაზე დამზადებული ანტიადგეზიური ნივთიერება

პროდუქტის აღწერა

NanoMatrix წარმოადგენს მინერალური ზეთის ბაზაზე დამზადებულ ანტიადგეზიურ საშუალებას, რომელიც ხელს უშლის გამყარებული ბეტონის მიკვრას ყალიბის ზედაპირზე.

გამოყენება

NanoMatrix-ის გამოყენება რეკომენდებულია შემდეგი შემთხვევებისა და მიზნებისთვის:

- დაბეტონების წარმოებისას, როცა საჭიროა ბეტონის გლუვი ზედაპირი.
- ყალიბიდან მოხსნის სამუშაოების დაჩქარება.
- არაჰიგროსკოპული ან ძალიან დაბალი ჰიგროსკოპულობის ყალიბების შემთხვევებში.

უპირატესობები და მახასიათებლები

- NanoMatrix უზრუნველყოფს ყალიბების ადვილად მოხსნას, გამყარებული ბეტონის ზედაპირის დაზიანების გარეშე.
- ხელს უწყობს გლუვი ზედაპირის მიღებას.
- ადვილად დაიტანება, ნაკლებ ხარჯიანი.
- არ შეიცავს ნივთიერებებს, რომლებმაც შეიძლება, დააზიანოს ზედაპირის სახე და ფერი.
- აადვილებს ყალიბების მოხსნის სამუშაოებს და ამცირებს ხარჯს.
- უზრუნველყოფს ვერტიკალური ყალიბების ზედაპირზე უნაკლოდ მიკვრას.
- ხელს უშლის ჰაერის ბუშტუკების შეღწევას ახლად დასხმულ ბეტონსა და ყალიბის ზედაპირს შორის ვივრაციის პერიოდში.
- შესაძლებელია მისი გამოყენება არა უკიდურესად ცხელი ან ცივი ამინდის პირობებში.
- არ შეიცავს აალეზად ორთქლს.
- არ შეიცავს ისეთ ნაერთებს, რომლებმაც შეიძლება, გამოიწვიოს საარმატურე ფოლადის კოროზია.

მოხმარების წესები, რჩევები და გაფრთხილებები

- NanoMatrix მზა პროდუქტია. არ საჭიროებს გაზავებას.
- მისი გამოყენება შეიძლება საღებავი ლილვაკით, ფუნჯით ან საფრქვევით. დაფარვა უნდა იყოს ერთგვაროვანი. შესაძლებელია რამდენიმე ფენის წასმა დაბალი ჰიგროსკოპულობის ყალიბებზე.
- NanoMatrix მსუბუქად უნდა შეინჯღრას გამოყენებამდე. არ საჭიროებს არევის დატანის პროცესში.
- NanoMatrix და სხვა მსგავსი ანტიადგეზიური საშუალებები უნდა მოარიდოთ საარმატურე ფოლადთან შეხებას. ბეტონისა და ფოლადის შეერთება ვერ მოხდება ამგვარი შეხების ადგილებში.

- მოერიდეთ ჭარბი დოზით გამოყენებას. ჭარბი დოზით გამოყენებამ შეიძლება, წარმოქმნას ლაქები ან დატოვოს ზეთის კვალი გამყარებული ბეტონის ზედაპირზე.
- ყალიბის ზედაპირები უნდა იყოს მშრალი და მტვერისა და ჭუჭყისგან გასუფთავებული NanoMatrix-ის წასმამდე.

რეკომენდებული დოზები

NanoMatrix-ის ტიპური ხარჯი დამოკიდებულია ყალიბის აბსორბციის ხარისხზე. ჩვეულებრივ, 40მ² ფართობზე შეიძლება 1 ლიტრის ოდენობის NanoMatrix-ის წასმა, არაჰიგროსკოპული ყალიბების (ფოლადის ან პლასტმასის ყალიბები) შემთხვევაში. ჰიგროსკოპული ყალიბების შემთხვევაში, 1 ლიტრის ოდენობის NanoMatrix-ის წასმა შეიძლება 20მ² ფართობზე.

ტექნიკური მახასიათებლები

ფერი და ფორმა	გამჭვირვალე ყვითელი - სითხე
ქიმიური ბაზა	მინერალური ზეთი და and performance enhancing additives
სიმკვრივე (კგ/ლ)	0.85 – 0.89 (+20 °C-ზე)
სიბლანტი (cP)	30 – 35 (+20 °C-ზე)
გაყინვის წერტილი	< -10 °C